სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 07

2019 წ. "26" 02

ქ.თბილისი

,,შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +''-ის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 18 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ,,შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +''-ის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №179132) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ,,შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +''-ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მითხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას, ,,შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +''-ის №179132 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი